

სკოპინგის დასკვნა N2

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: მდინარე ძინძესწყალზე 5,2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („ზარზმა ჰესის“) მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეი“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ადიგენის მუნიციპალიტეტი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 17.10.2022;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „GN. Corporation“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეის“ მიერ წარმოდგენილია ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდინარე ძინძესწყალზე 5,2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („ზარზმა ჰესის“) მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას ადიგენის მუნიციპალიტეტში, ზარზმის თემში. ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილია მდ. ძინძესწყლის ხეობაში ზღვის დონიდან 1490-1200 მ ნიშნულებს შორის. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი სქემატური ნახაზის მიხედვით, საპროექტო ჰესის ინფრასტრუქტურიდან (ჰესის შენობა) უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. ზარზმა მდებარეობს დაახლოებით 140 მეტრის დაშორებით. სადაწნეო მისლადენის დერეფნის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო მისლადენის დერეფნიდან დაახლოებით 396 მეტრში, სოფ. უტყისუბანში ფიქსირდება შენობა-ნაგებობა, რომლის ფუნქციური დატვირთვა საჭიროებს დაზუსტებას.

საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის („ზარზმა ჰესის“) დადგმული სიმძლავრე იქნება - 5,2 მგვტ, წყლის საანგარიშო ხარჯი - 2.4 მ³/წმ, ეკოლოგიური ხარჯი - 0,21 მ³/წმ (ჰესის სათავე ნაგებობის გასწორში, 1487 მ ნიშნულზე, მდ. ძინძესწყლის მრავალწლიანი საშუალო ხარჯის 10%). ჰესი წლიურად გამოიმუშავებს დაახლოებით 21,1 გვტ/სთ ელექტროენერგიას.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების ანალიზის შესახებ, მათ შორის, განხილულია საპროექტო ჰესის ტიპის ალტერნატივები, ინფრასტრუქტურის ადგილმდებარეობის ალტერნატივები, სამშენებლო ბანაკებისა და სანაყაროების განთავსების ალტერნატივები და არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივა. ჰიდროტექნიკური ნაგებობების განლაგების დერეფნის შერჩევას (ალტერნატივა I - მდ. ძინძესწყალის მარჯვენა სანაპირო; II - მდ. ძინძესწყალის მარცხენა სანაპირო და III - მილხიდით მდინარის გადაკვეთა და დარჩენილი მონაკვეთის გატარება მარჯვენა სანაპიროზე) გათვალისწინებულ იქნა რელიეფური, საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, ასევე კერძო საკუთრებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების

შემცირების საკითხები. ალტერნატივების ანალიზის შედეგად უპირატესობა მიენიჭა I ალტერნატივას. დოკუმენტში განხილულია ჰესის სააგრეგატო შენობის განთავსების ალტერნატივები, რომელთა ანალიზისა და გარემოსდაცვითი, ტექნიკური-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა ჰესის შენობის განთავსებას მდინარე ძინძესწყლის მარცხენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 1200 მ ნიშნულზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ჰესის ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: სათავე კვანძი, სადაწნეო დერივაცია, ჰესის სააგრეგატო შენობა და წყალგამყვანი არხი.

სათავე კვანძის მოწყობა დაგეგმილია მდ. ძინძესწყალზე ზღვის დონიდან 1487 მ ნიშნულზე. წარმოდგენილი სიპ ფაილების მიხედვით, სათავე კვანძის განთავსების მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X - 300427.71, Y - 4613625.95. სათავე კვანძის შემადგენლობაში იქნება: წყალსაგდები დამბა (სიმაღლე - 4 მ, სიგანე - 6 მ და სიგრძე 16 მ); წყალმიმღები, რომელიც წყალს მიაწვდის სალექარს და სადაწნეო სისტემას; სალექარი (0.35 მმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ნაწილაკების დალექვისთვის; სიგრძე - 22 მ, სიგანე - 4 მ) და ე.წ. „გასასვლელი აუზების ტიპის“ თევზსავალი, რომელიც აღჭურვილი იქნება 13 გასასვლელი აუზით (თითოეული - 1,5 მ სიგანის, 1,5 მ სიგრძისა და 0,9 მ სიღრმის). სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სათავე კვანძთან შეიქმნება მცირე ზომის შეგუბება, რომლის სარკის ზედაპირების ფართობი არ გასცდება ბუნებრივ პირობებში მდინარის კალაპოტის მაქსიმალური დატბორვის ზონებს.

საპროექტო ჰესის სათავე კვანძის წყალმიმღების და სალექარის გავლის შემდეგ მდინარიდან აღებული წყალი გადავა სადაწნეო მილსადენში, რომლის დერეფანი გაივლის მონაცვლეობით, მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე. მილსადენის სიგრძე იქნება 5600 მ, დიამეტრი - 1220 მმ. მილსადენი განთავსდება 2,5 მ სიღრმის ტრანშეაში.

სადაწნეო მილსადენიდან წყალი მიეწოდება ძალურ კვანძს, რომლის შემადგენლობაში შედის ჰესის სააგრეგატო შენობა და წყალგამყვანი არხი. ჰესის შენობის განთავსების ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-303984.64, Y-4616719.10. ჰესის შენობაში (ზომები - 25.0 x 12.0 მ) დამონტაჟდება 2 ჰიდროაგრეგატი. შენობა აღჭურვილი იქნება ჰიდროაგრეგატების კონტროლის სისტემით.

ჰიდროაგრეგატების მიერ გამოყენებული წყალი 25 მ სიგრძის წყალგამყვანი არხის საშუალებით ჩაშვებული იქნება მდინარეში. გამომუშავებული ელექტროენერჯის საერთო ელექტროსისტემის ქსელში ჩართვა გათვალისწინებულია 9 კმ სიგრძის 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ეგხ-ის გაყვანა მოხდება დამოუკიდებელი პროექტის სახით. **გზმ-ის ეტაპზე მნიშვნელოვანია სათანადოდ იქნეს დასაბუთებული ეგხ-ის დამოუკიდებელი პროექტით გაყვანის გადაწყვეტილება.**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიებამდე გადაადგილებისთვის მთავარი სატრანსპორტო არტერია იქნება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზა (შ-1), რომლის გამოყენებით მოხდება ჰესის ჰიდროაგრეგატების და სხვა დანადგარების ტრანსპორტირება საპროექტო ტერიტორიამდე. სადაწნეო მილსადენის ზოგიერთ მონაკვეთზე, ასევე ჰესის შენობასთან

და სანაყაროების ტერიტორიებთან მისვლა შესაძლებელი იქნება არსებული გრუნტის გზების გამოყენებით. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალი გზის მშენებლობა (სიგრძე - 5000 მ, სიგანე - 4 მ) სადაწნეო მილსადენის დერეფნის გასწვრივ, რომელიც გამოყენებული იქნება სადაწნეო მილსადენის მოწყობისას და ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობაა 24 თვე. სამშენებლო ბანაკებზე გათვალისწინებულია საწყობების, მექანიკური საამქროს, საოფისე კოტეჯების, საწვავის და წყლის რეზერვუარების, ასევე ღია ავტოსადგომის მოწყობა. დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია მოეწყოს ბეტონის კვანძი 30 მ³/სთ წარმადობით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო ბანაკების მოწყობისთვის განიხილება 3 ალტერნატიული ტერიტორია. I - სათავე კვანძის მომიჯნავედ (GPS კოორდინატებით: X – 300417; Y – 4613643). აღნიშნული ტერიტორია შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამშენებლო მასალების დასაწყობებისთვის, საოფისე კონტეინერების მოსაწყობად და ტექნიკის ავტოსადგომად, II - სათავე კვანძიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით (GPS: X – 300755; Y – 4613933). აღნიშნული ბანაკი შესაძლებელია მოემსახუროს, როგორც სათავე ნაგებობის, ასევე მილსადენის საწყისი მონაკვეთის მშენებლობას; III - ძალური კვანძის განთავსების ადგილის მომიჯნავედ, (X – 303935; Y – 4616726), რომელიც შესაძლებელია მოემსახუროს ძალური კვანძის და სადაწნეო მილსადენის ბოლო მონაკვეთის მშენებლობას. დოკუმენტის მიხედვით, გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნება სამშენებლო ბანაკების დაზუსტებული ადგილმდებარეობები და ბანაკებზე განსათავსებელი ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო დერეფანში (ძირითადად მილსადენის დერეფანში) ამოღებული იქნება დაახლოებით 73 000 მ³ მოცულობის კლდოვანი და არაკლდოვანი გრუნტი. ფუჭი ქანების განთავსებისთვის შერჩეულია ოთხი სავარაუდო ადგილი: I - ჰესის სათავე ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთით (GPS კოორდინატები: X – 300693; Y – 4613832); II და III - მილსადენის დერეფანსა და ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზას შორის შემდეგ GPS კოორდინატებზე: X – 302062; Y – 4615408 და X – 302452; Y – 4615418); IV - ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ჩრდილოეთით (X – 303074; Y – 4615943). წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობის გათვალისწინებით, სანაყაროებისთვის საკმარისი იქნება დაახლოებით 2 ჰა ტერიტორია. სანაყაროებისთვის შერჩეული ტერიტორიები არ მდებარეობს სახელმწიფო ტყის საზღვრებში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სანაყაროების ადგილმდებარეობის და ფართობების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში წყლის გამოყენებისა და ჩამდინარე წყლების შესახებ. მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო ბანაკის სასმელი წყლით მომარაგება მოხდება ავტოცისტერნებით, რისთვისაც მოეწყობა რეზერვუარები. სამეურნეო მიზნით, მათ შორის ბეტონის კვანძისთვის (მოწყობის შემთხვევაში) წყლის აღება მოხდება მდ. მინძესწყალიდან. ჰესის

ექსპლუატაციის ეტაპზე, სასმელ-სამეურნეო დანიშნულებისთვის გამოყენებული იქნება ადგილობრივი წყაროს წყლები ან ჰესის შენობის მიმდებარედ გაყვანილი იქნება ჭაბურღილი. საჭიროების შემთხვევაში ჰესის შენობაში მოხდება წყლის სამარაგო რეზერვუარის მოწყობა.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის მიზნით, განიხილება საასენიზაციო ორმოების მოწყობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება ზედაპირული წყლის ობიექტში, გათვალისწინებული იქნება გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და მომზადდება ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მდ. ძინძესწყლის ხეობაში აქტიურია ეროზიული პროცესები, რაც მეწყრული და ღვარცოფული მოვლენების წარმოშობას უწყობს ხელს. წინასწარი კვლევების შედეგად უშუალოდ „ზარზმა ჰესის“ დერეფანში არ გამოვლენილა ისეთი გეოდინამიკური პროცესების განვითარების ნიშნები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ჰესის მშენებლობას და ექსპლუატაციას. მდინარის კალაპოტში გათვალისწინებული ნაგებობების მშენებლობისთვის შეირჩევა ღვარცოფული მოვლენების თვალსაზრისით ნაკლები რისკების მქონე პერიოდი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე მძლავრი ნაკადების მოსვლის შემდგომ ღვარცოფული მასის წყალმიმღებთან დაგროვების შემთხვევაში, სამშენებლო მანქანების საშუალებით მოხდება ნაგებობის ზედა ბიეფების გაწმენდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ღვარცოფულმა ნაკადმა შესაძლოა გამოიწვიოს სადაწნეო მილსადენის დაზიანება, რომლის პრევენციის მიზნით, სენსიტიურ უბნებში განიხილება სადაწნეო მილსადენის ბეტონის გარსაცმში განთავსება. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო ტექნიკის გამოყენებამ, მიწის სამუშაოებმა (განსაკუთრებით მილსადენის დერეფანში ფერდობებზე თაროების მოწყობამ) შეიძლება გამოიწვიოს გრავიტაციული პროცესების განვითარება. აღნიშნული მოვლენების/პროცესების პრევენციისა და შერბილების მიზნით, მგრძობიარე უბნების გავლენის ზონაში გათვალისწინებულია შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, მათ შორის: ეროზიისგან დაცვის მიზნით მილსადენის დერეფნის ცალკეულ მონაკვეთებზე, მდინარის მხარეს მოეწყობა ნაპირდამცავი ნაგებობები (ბეტონის კედლები ან შედარებით ფართო ადგილებში ყუთის ფორმის გაბიონები).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, წინასწარი მონაცემებით მდ. ძინძესწყალში შესაძლოა ბინადრობდეს იქთიოფაუნის შემდეგი სახეობები: მტკვრის მარდულა/ფრიტა (*Alburnoides eichwaldii*); მტკვრის თაღლითა (*Alburnus filippii*); მტკვრის გოჭალა (*Oxynoemacheilus Brandtii*); მტკვრის ღორჯო (*Ponticola cyrius*); მდინარის კალმახი (*Salmo caspius*).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, წყლის გარემოზე და იქთიოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება მდინარის დაბინძურებასთან და ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილებასთან. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე წყლის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითად შემარბილებელ ღონისძიებას წარმოადგენს - სათავე კვანძის სამშენებლო უბნიდან წყლის დროებითი დერივაციის მოწყობა, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე თევზსავალის გამოყენება და მულტივი ეკოლოგიური ხარჯის (0,21 მ³/წმ) გატარება.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ლიტერატურული წყაროების და საკვლევ არეალში წარსულში ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო არეალში მობინადრე ცხოველთა შედარებით მაღალ რისკ-ჯგუფებს განეკუთვნება ძუძუმწოვრები: მურა დათვი *Ursus arctos*, წავი *Lutra lutra*, ფოცხვერი *Lynx lynx*, კავკასიური ციყვი *Sciurus anomalus*. ფრინველებიდან: მთის არწივი *Aquila chrysaetos*, ორბი *Gyps fulvus*. **გზმ-ის ეტაპზე დეტალურად უნდა იქნეს განხილული ფაუნის წარმომადგენლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება, მათ შორის წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე ზემოქმედება, სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.**

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ზემოქმედების ქვეშ ექცევა ტყის ტიპის ჰაბიტატები. ზემოქმედების არეალში არსებული ხე-მცენარეების ძირითადი სახეობებია: ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, რცხილა, მურყანი. პროექტის განხორციელება დაგეგმილია სახელმწიფო ტყის ტერიტორიის ფარგლებში. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მონაცემებით, საპროექტო ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის, მთლიანი 154 747 კვ.მ. ფართობიდან და 5637 გრძივი მეტრიდან (Shp ფაილი), 8613 კვ.მ. და 3969 გრძივი მეტრი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვება, რისთვისაც საპროექტო დერეფანში ჩატარდება ხე-მცენარეული საფარის დეტალური კვლევა.

წარმოდგენილ დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ სკოპინგის ანგარიშის ერთ-ერთი ქვეთავის მიხედვით, „დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების არეალში, სხვა პროექტების შესახებ ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა. თუმცა შესწავლა გაგრძელდება გზმ-ის ეტაპზეც და საჭიროების შემთხვევაში კუმულაციური ზემოქმედების შეფასების ფარგლებში განხილული იქნება სხვა პროექტებიც“, თუმცა დოკუმენტში ასევე განმარტებულია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საკვლევ ტერიტორიის ფარგლებში ადგილი აქვს სხვადასხვა სახის და დანიშნულების საინჟინრო ნაგებობების მშენებლობას, მათ შორის მდ. ქვაბლიანზე (მდ. ძინძესწყალი წარმოადგენს მდ. ქვაბლიანის მარჯვენა შენაკადს) ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას. გზმ-ის ეტაპზე, კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას, დაზუსტებული უნდა იქნეს აღნიშნული ობიექტების შესახებ ინფორმაცია.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტომ უზრუნველყო დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით

დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ საჯარო განხილვის შესახებ განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ამასთან, ინფორმაცია განთავსდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. ასევე, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 4 ნოემბერს ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზარზმის საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ადიგენის მუნიციპალიტეტის, შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეის“ და საკონსულტაციო ორგანიზაციის შპს „GN Corporation“-ის წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დამსწრე პირთა მხრიდან ძირითადად ყურადღება დაეთმო სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დასრულების შემდგომ, სააგენტოს წარმომადგენლების მიერ, მოხდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;**
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;**
- 2.1 **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;**
3. **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ,**

რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

4. **გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- პროექტის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების (სათავე ნაგებობა, სადაწნეო/სადერივაციო მილსადენი, ჰესის შენობა), სანაყაროების განთავსების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. **გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;**
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება. მათ შორის: ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ადგილების დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების მითითებით, ჰიდროელექტროსადგურის ყველა შემადგენელი ობიექტის Shp ფაილები;
- ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურის განთავსების (ზღვის დონიდან) ნიშნულების შესახებ;
- ჰიდროელექტროსადგურის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტი და საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურების დაშორება მოსახლეობიდან, კონკრეტული მანძილების მითითებით;
- ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ჰიდროელექტროსადგურის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და მახასიათებლების ცხრილი/პროექტის განმარტებითი ბარათი ჰესის შემადგენელი ჰიდროტექნიკური ნაგებობის აღწერით და სქემატური ნახაზებით, ჰიდროელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერჯის შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- სათავე კვანძის სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სამშენებლო ეტაპების, მშენებლობის მეთოდის, დროისა და მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სათავე კვანძის მშენებლობის ეტაპზე, მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის არიდების სამუშაოების, მათ შორის აღნიშნული მიზნით მოსაწყობი

ინფრასტრუქტურის (დროებითი სადერივაციო არხი, დროებითი დამბა და სხვ) შესახებ;

- ინფორმაცია სათავე კვანძის საანგარიშო დატვირთვის შესახებ, მათ შორის სეისმური და ჰიდრავლიკური დატვირთვის პარამეტრების მითითებით;
- სათავე კვანძზე კატასტროფულ სიტუაციებში მომატებული წყლის მართვის საკითხები (მათ შორის ინფორმაცია ნამეტი წყლის ენერჯის ჩამქრობი ჭის შესახებ);
- ინფორმაცია სათავე კვანძზე შეკავებული წყლის მოცულობის და შეტბორილი ადგილების ფართობის შესახებ ნორმალური, მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის ნიშნულებისა და ფართობების მითითებით. ამასთან ნორმალური, მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის უბნის კონტურები ასახული უნდა იქნეს shp ფაილები;
- გზშ-ის ანგარიშში მიზანშეწონილია დასაბუთდეს შერჩეული ტიპის თევზსავალის უპირატესობა სხვა სახის თევზსავალთან შედარებით. ასევე განხილულ იქნეს თევზამრიდის მოწყობის საკითხი. ანგარიში უნდა მოიცავდეს თევზსავალი და თევზამრიდი ნაგებობების დეტალურ აღწერას, სამშენებლო ნახაზებს, მისი ფუნქციონირებისა და ეფექტურობის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის თევზსავალის ზედა და ქვედა ნიშნულებს, პარამეტრებს, ჰიდრავლიკური გაანგარიშების შედეგებს (იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს იქთიოფაუნაზე ზეგავლენის პროგნოზირება), აუზებს შორის სხვაობებს; თევზსავალ ნაგებობაში ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული გარემოს შექმნის შესახებ ინფორმაციას;
- დეტალური ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო-სადაწნეო სისტემის შესახებ, მათ შორის: მილსადენის ტიპისა და პარამეტრების შესახებ. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მილსადენის განთავსების პირობების შესახებ;
- ინფორმაცია გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენისგან მილსადენის დაცვის ღონისძიებებისა და შემოთავაზებული დამცავი ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია მილსადენით მდინარის, შენაკადებისა და ხევების გადაკვეთის შესახებ (არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ჰესის შენობის/ძალური კვანძის შესახებ, ძალური კვანძის შემადგენლობაში შემავალი ელემენტების დახასიათებით. მათ შორის: ჰიდროტურბინების დეტალური აღწერა, თითოეული ტურბინის სიმძლავრის მითითებით (ამასთან, ნამუშევარ წყალში ზეთების შერევის რისკების შესახებ ინფორმაცია), ასევე ჰესის შენობაში ავარიული ზეთშემკრები სისტემის მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ჰესის შენობიდან გამონამუშევარი წყლის მდინარეში გაყვანის შესახებ, გამყვანი არხის პარამეტრების მითითებით;

- ინფორმაცია საპროექტო ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის შეკრებისა და საერთო ქსელში ჩართვის შესახებ, მათ შორის: ინფორმაცია ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გენერირების შესახებ;
- ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- დეტალური ინფორმაცია ძალური კვანძის უბანზე წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას დამყარებული დონეებისა და კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმის, ასევე ტერიტორიის დაცვის საინჟინრო ღონისძიებების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის საჭიროების შესახებ - ნაგებობის ტიპის პარამეტრებისა და ეფექტურობის მითითებით. გზმ-ის ანგარიშში მითითებული უნდა იქნეს ნაპირსამაგრი ნაგებობების ტიპი, ტექნიკური პარამეტრები და ადგილმდებარეობები (GPS კოორდინატები და shp ფაილები), ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ბეტონის კვანძის შესახებ ინფორმაცია (მოწყობის შემთხვევაში) წარადობის და ფიზიკური მახასიათებლების მითითებით. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროების არსებობის შემთხვევაში, გზმ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
- ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების შესახებ დეტალური ინფორმაცია. მათ შორის, ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების (აღებული წყლის რაოდენობის, თვეების მიხედვით და წყალაღების წერტილის GPS კოორდინატების მითითებით) და ჭაბურღილიდან წყლის მოპოვების შესახებ ინფორმაცია, ჭაბურღილის გამოყენების შესაბამისი ლიცენზიის მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო წყლის გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შესაძლებლობის და საჭიროების შესახებ, გამწმენდი ნაგებობებიდან ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები. გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შემთხვევაში გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნაგებობის ტიპის, განთავსების ადგილის, პარამეტრებისა და გაწმენდის ეფექტურობის შესახებ, ასევე გამწმენდ ნაგებობებში წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემთხვევაში, გზმ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდგ) პროექტი;

- ინფორმაცია ბეტონის კვანძიდან და ემისიების გამომწვევი სხვა წყაროებისგან მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირებისთვის გათვალისწინებული აირგამწმენდი სისტემის შესახებ. აირგამწმენდების ტიპის, პარამეტრების, წარმადობის, ტექნოლოგიური სქემისა და გაწმენდის ეფექტურობის შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასევე ინფორმაცია აირმტვერდაჭერში დაჭერილი მტერის მართვის საკითხების შესახებ;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის მითითებით, ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ.

4.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის და ვადების მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობების, ასევე ადგილების შესახებ (მდებარეობის მითითებით - GPS კოორდინატები, Shp ფაილები);
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა და მათი მართვის საკითხები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს, ფუჭი ქანების/გრუნტის განთავსების მუდმივი/დროებითი ადგილების

(სანაყაროები) შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით (სანაყაროს ფართობისა და GPS კოორდინატების (shp ფაილებთან ერთად) მითითებით). დასაბუთებული უნდა იყოს სანაყარო(ებ)ის განთავსებისთვის შერჩეული ადგილ(ებ)ის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები;

- ინფორმაცია ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტ(ებ)ის (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო გზების შესაბამისი პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით (შესაბამისი სქემატური ნახაზებითა და shp ფაილებით). ამასთან, მოცემული უნდა იყოს აღნიშნული გზების მოწყობასთან დაკავშირებული ზემოქმედების საკითხები და შესაბამისი პრევენციული, საკომპენსაციო/შემარბილებელი ღონისძიებები.

4.2 სამშენებლო ბანაკ(ებ)ის განთავსების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ის შესახებ. წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სამშენებლო ბანაკ(ებ)ის დაზუსტებული ლოკაციები (shp ფაილების და GPS კოორდინატების მითითებით) და შერჩეული ტერიტორიის აღწერა, ამასთან დასაბუთებული უნდა იყოს ბანაკ(ებ)ის განთავსებისთვის შერჩეული ლოკაციის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები;
- სამშენებლო ბანაკის/ბანაკების გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის ფართობის, ასევე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მომსახურებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ბანაკ(ებ)ის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობის დროს სამშენებლო ბანაკების და მოედნების ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ბანაკებზე ელექტროენერგიის მიწოდებისთვის დაგეგმილია ეგხ-ის გაყვანა, წარმოდგენილი უნდა იქნეს ეგხ-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია (ტიპი, პარამეტრები, სქემატური ნახაზები, shp ფაილები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედება და ა.შ.);
- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ზე საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ.

4.3 გზმ-ის ეტაპზე ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს:

- ინფორმაცია მდ. ძინძესწყლისა და მისი შენაკადების ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის: მდ. ძინძესწყლისა და მისი შენაკადების საშუალო წლიური ხარჯების, ჩამონადენის შიდაწლიური განაწილების შესახებ;
- ინფორმაცია მდ. ძინძესწყლის მაქსიმალურ ჩამონადენზე, მინიმალურ ჩამონადენზე, მყარ ნატანზე;

- ინფორმაცია მდინარის სიგრძისა და სიგანის (როგორც საერთო, ისე საპროექტო კვეთში არსებული) შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო არეალში, როგორც დამზის ზედა ასევე მის ქვედა ბიეფში, მდ. ძინძესწყლის შენაკადების შესახებ, მანძილებისა და აღნიშნული შენაკადების მიერ გატარებული ხარჯის მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის მიერ ასაღები წყლის რაოდენობებზე 10%, 50% და 90%-იანი უზრუნველყოფისთვის;
- ინფორმაცია მდ. ძინძესწყლის აბსოლუტური მინიმალური და მაქსიმალური ხარჯების შესახებ;
- ინფორმაცია წყალდიდობის რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია სათავე კვანძის ქვედა ბიეფში გასაშვები სავალდებულო ეკოლოგიური (სანიტარული) ხარჯის შესახებ (ეკოლოგიური ხარჯის გამოთვლისა და რაოდენობის მითითებით). ამასთან მოცემული უნდა იყოს ეკოლოგიური ხარჯის მნიშვნელობად მიღებული საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დასაბუთება/განმარტება (რამდენად უზრუნველყოფს განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯი მდინარის ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებას, მათ შორის წყალზე დამოკიდებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შენარჩუნებას) და საჭიროების შემთხვევაში ეკოლოგიური ხარჯის გაზრდის შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო არეალში არსებული ღვარცოფული ნაკადების შესახებ ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში ღვარცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებების მითითებით;
- გზმ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია - საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის ზედა და ქვედა ბიეფებში წყლის დონის მზომების (ჰიდროლოგიური საგუშაგოს) დაყენების, წყლის ხარჯების დადგენილი სიხშირით გაზომვის, დონეებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების მრუდების აგების, ამასთან ყოველდღიური დონეების და ხარჯების შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენის შესაძლებლობის შესახებ;
- ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მდინარის მონაკვეთზე წყალმოსარგებლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებული უნდა იქნეს სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯების გაანგარიშებაში);
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მდ. ძინძესწყლის დონეებისა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების მრუდები სათავე და ძალური კვანძის ნაგებობების განთავსების ადგილებში;

4.4 გზმ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერას, მათ შორის:
 - რელიეფი (გეომორფოლოგია);
 - გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;

- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობების პიკეტური აღწერა (რომელი უნდა მოიცავდეს ასევე საპროექტო ტერიტორიის სივრცეში არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების აღწერას).
- **გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, მათ შორის:**
 - ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, შემარბილებელი ან/და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
 - საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
 - გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;

4.5 გზშ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ჰიდროელექტროსადგურისა და მისი მშენებლობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებს, სახეობების მიხედვით რაოდენობის და მოცულობის მითითებით;
- სკოპინგის ანგარიშში ბიომრავალფეროვნების კუთხით ჩატარებული კვლევები მოიცავს 2022 წლის აგვისტოს თვის საველე კვლევებს, რაც არასაკმარისია სრული სურათის დასანახად. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, წყლისა და წყალზე დამოკიდებულ ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის იქთიოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელ ნუსხით" დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების სახეებზე, მასშტაბზე, თავიდან აცილებასა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ასევე, წარმოდგენილ იქნეს ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები სკოპინგის ანგარიშში მითითებული ფოტოხაფანგების დამონტაჟების შედეგად მოპოვებულ ფოტომასალასთან ერთად. ზემოაღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდეს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, სადაც, სხვასთან ერთად, აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე, ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის, ფუჭი ქანების სანაყაროს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის

მოწყობისას ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, ასევე აუცილებელია დაზუსტდეს მათი მდებარეობის საკითხი;

- გზშ-ის ანგარიშში ასახული უნდა იქნეს კუმულაციური ზემოქმედების, მათ შორის 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს ჰიდროელექტროსადგურის გაწმენდის, ფსკერდაღრმავების და სხვა მსგავსი სამუშაოების საჭიროება და განსახორციელებელი საქმიანობის დეტალური აღწერა, ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების კუთხით;
- წყლის ბიომრავალფეროვნების შეფასებისთვის გზშ-ის ეტაპზე განხილული იქნეს შემდეგი საკითხები:
 - გზშ-ის ანგარიშში აისახოს სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, პროექტის გავლენის ზონაში არსებულ იქთიოფაუნაზე, მასზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე;
 - წარმოდგენილი უნდა იყოს სრულყოფილი კვლევები თევზის რაოდენობრივი მაჩვენებლის მითითებით, ანამნეზის შედეგებით და ჰაბიტატების შეფასებით საქვრითე ადგილების იდენტიფიცირების მიზნით;
 - კვლევები განხორციელდეს მაქსიმალურად ბუნებრივ პირობებში, ყოველგვარი ანთროპოგენური ზეგავლენის გამორიცხვით, ჰესის განთავსების ზედა და ქვედა ბიეფებში;
 - ყველა საველე კვლევის გეგმისა და განხორციელების აღწერა (შერჩევის მეთოდების, საველე კვლევის ხანგრძლივობისა და პერიოდების ჩათვლით);
 - საკონტროლო უბნების შეფასება ზემოქმედების არეალს მიღმა, არსებულ პირობებთან შედარებისა და პროექტის ზემოქმედების მომავალი მონიტორინგის მიზნით;
 - სინჯების აღების ადგილების იდენტიფიცირებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა ტიპის ჰაბიტატები მდინარის მონაკვეთების გასწვრივ (მაგ. ტბორი, სწრაფი დინების მონაკვეთები, ჩანჩქერები, მეანდრები, მდორე დინების მონაკვეთები და ა.შ.);
 - ზემოქმედების ზონაში წყლის თანასაზოგადოებების ან/და ჰაბიტატის დეტალური აღწერა;
 - წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია თევზების სახეობათა მრავალფეროვნების, რაოდენობრივი მაჩვენებლების და იქთიომასის შესახებ ერთეულ ფართობზე, სეზონური მიგრაციების გათვალისწინებით;

- შემარბილებელ ღონისძიებათა შორის განხილული უნდა იქნეს **თევზამრიდი ნაგებობის მოწყობა** და სხვა საკომპენსაციო ღონისძიებები, მათ შორის დათევზიანება.
- მნიშვნელოვანია გზშ-ის მომზადების პროცესში შემუშავდეს ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ისეთი მოდელი, რომელიც ნაკლებად დააზიანებს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობას - „მდინარის კალმხს“;

5. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნეს ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკების შეფასება. მდინარის კალაპოტში წყლის ხარჯის შემცირებითა და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ჰიდროლოგიურ, ჰიდრომორფოლოგიურ და კალაპოტურ პროცესებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ნატანის მოძრაობაზე, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები. მათ შორის ზარზმის მონასტრიდან ჰესის ინფრასტრუქტურის ხილვადობის შესახებ ინფორმაცია;

- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება კლიმატურ პირობებზე, რეგიონში არსებული/საპროექტო ანალოგიური ტიპის ობიექტების გათვალისწინებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (მათ შორის ინფორმაცია, პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მიწის ნაკვეთების, კერძო საკუთრებების შესახებ), ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების, დეტალური შეფასება შემარბილებელი ღონისძიებები. **ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში დაგეგმილი, მათ შორის ანალოგიური პროექტები;**
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების სახეობების, რაოდენობის, სახიფათობის მახასიათებლების შესახებ მონაცემები და შემდგომი მართვის ღონისძიებები, ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგებისა და მიღებული სარგებლის ურთიერთმეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- საპროექტო ობიექტის მშენებლობითა და ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების დეტალური შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ბიოლოგიურ და წყლის გარემოზე), არსებული ან/და საპროექტო ჰიდროელექტროსადგურების გათვალისწინებით, შემარბილებელი და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. მათ შორის, ყურადღება გამახვილდეს ჰიდროდინამიკურ ავარიაზე რეაგირების საკითხებზე;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული, **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა** (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი

ლონისძიებები.

6. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ეკოლოგიური ხარჯის პროცენტული მაჩვენებლები თვეების მიხედვით, ასევე თვიური და წლიური ხარჯების სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95% უზრუნველყოფისათვის, შესაბამისი ცხრილების (1; 2) სახით:

- ცხრილი 1. ეკოლოგიური ხარჯის პროცენტული მაჩვენებლები თვეების მიხედვით

თვე	იანვ	თებ	მარტი	აპრ	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტ	სექტემ	ოქტომ	ნოემბ	დეკემბ
მდინარის ბუნებრივი ხარჯი თვეების მიხედვით												
საშუალო თვიური ხარჯები, მ ³ /წმ												
ენერგეტიკული ხარჯი თვეების მიხედვით (ჰესის მიერ ასაღები ხარჯი)												
საშუალო თვიური ენერგეტიკული ხარჯები, მ ³ /წმ												
ეკოლოგიური ხარჯი თვეების მიხედვით												
ეკოლოგიური ხარჯი, მ ³ /წმ												
ეკოლოგიური ხარჯი, %												
საშუალო მრავალწლიური ხარჯის რამდენ %-ს შეადგენს ეკოლოგიური ხარჯი												

- ცხრილი 2. თვიური და წლიური ხარჯების სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95%

	იანვ	თებ.	მარტ	აპრ	მაისი	ივნ	ივლ	აგვ	სექ	ოქტ	ნოემ	დეკ	წელი
საშ													
მაქს													
მინ													
10%													
50%													
75%													
95%													

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- აეროფოტო სურათზე (მაღალი გარჩევადობით) დატანილი საპროექტო არეალის სქემატური რუკა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით (A3 ფორმატი; Shp ფაილი WGS_1984_37N (38N) პროექციით), სადაც მოცემული იქნება: ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტები (სათავე ნაგებობა, სადერივაციო-სადაწნეო მილსადენი, ჰესის შენობა, სამშენებლო ბანაკები, მისასვლელი გზები, სანაყაროები და სხვ.);
- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, აუცილებელია დეპარტამენტთან შეთანხმებული იქნეს ჰესის მშენებლობის დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია, რომელშიც სრულყოფილად იქნება განხილული და შეფასებული ნებისმიერი სახის ზემოქმედება დეპარტამენტის ბალანსზე არსებულ საავტომობილო გზასთან მიმართებაში და გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გარემოზე ზემოქმედების სრულყოფილი შეფასებისათვის და ეფექტური შემარბილებელი, პრევენციული, საკომპენსაციო ღონისძიებების დასახვა-განხორციელების მიზნით მიზანშეწონილია - „ზარზმა ჰესის“ მიერ გამოძევაზე ენერჯის საერთო ქსელთან მიერთების (35 კვ ეგხ-ის) პროექტი წარმოდგენილ იქნეს „ზარზმა ჰესის“ პროექტთან ერთად, ერთიანი გზშ-ის ანგარიშის სახით, როგორც პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი. აღნიშნული სახით გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენის შემთხვევაში, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია: საერთო ქსელთან მიერთებისთვის განკუთვნილი საპროექტო ეგხ-ის ძირითადი პარამეტრების, ფიზიკური მახასიათებლების, ტექნიკური გადაწყვეტების (ძაბვა, გაბარიტები, ეგხ-ის ტიპი, სიგრძე და სხვ), გასაყვანი ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების ადგილი და შესაბამისი Shp ფაილები, ასევე მისი გაყვანით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების საკითხების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია; ინფორმაცია ეგხ-ის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ; ამასთან, მოცემული უნდა იყოს კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, რეგიონში არსებული ან/და დაგეგმილი

ელექტროგადამცემი ხაზების გათვალისწინებით. **ზემოაღნიშნულის განუხორციელებლობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სათანადო დასაბუთება;**

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით **მთლიანი საპროექტო (154 747 კვ.მ) ფართობიდან და 5637 გრძივი მეტრიდან (Shp ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 8613 კვ.მ. და 3969 გრძივი მეტრი წარმოდგენს** სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი VII-XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვებისათვის საპროექტო დერეფანში ჩატარდება მცენარეული საფარის დეტალური კვლევა (ტყის ტაქსაცია). აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით - თუ დაგეგმილი საქმიანობა განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვებას საჭიროებს საქმიანობის განმახორციელებელმა (კანონმდებლობის შესაბამისად) გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტი არ ითვალისწინებს დიდი ზომის კაშხლის მშენებლობას და წყალსაცავის მოწყობას, თუმცა, ჰესის მშენებლობა/ექსპლუატაციის შედეგად იქთიოფაუნაზე მოსალოდნელია გარკვეული ნეგატიური ზეგავლენა (წინასწარი კვლევებით მდ. ძინძესწყალში ბინადრობს დაცული სახეობა „კალმახი“ - *Salmo labrax*). მცირე სიმაღლის დამბის მშენებლობიდან გამომდინარე, მოეწყობა საფეხურებიანი თევზსავალი, მაგრამ არ არის გათვალისწინებული თევზამრიდი ნაგებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი თევზსავალი ნაგებობების დეტალური აღწერა და მისი ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია - თევზსავალის ზედა და ქვედა ნიშნულები, პარამეტრები, ჰიდრაულიკური გაანგარიშების შედეგები (იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს იქთიოფაუნაზე ზეგავლენის შეფასება/პროგნოზირება); საპროექტო თევზსავალის ეფექტურობის, მათ შორის თევზსავალში ნაკადის სიღრმის, ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული გარემოს შექმნის შესახებ ინფორმაცია, ასევე, **თევზამრიდი კონსტრუქციის დეტალური აღწერა;**
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს მშენებლობის პროცესში სეზონური იქთიოლოგიური კვლევის შედეგები და შესაბამისი ანგარიში, ხოლო ექსპლუატაციის პროცესში სეზონური იქთიოლოგიური კვლევის შედეგები და შესაბამისი ანგარიშები (პირველი 5 წლის განმავლობაში). კვლევებისას

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იქთიოფაუნის რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებას, რათა შემდგომში სრულყოფილად განისაზღვროს ჰესის ნეგატიური ზეგავლენის დონე;

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, 2022 წლის აგვისტოში საპროექტო არეალში ჩატარდა ბიოლოგიური კვლევები, რომლის შედეგად შესწავლილი იქნა იქთიოფაუნის საბინადრო ადგილები - ჰაბიტატები. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში ფონური მდგომარეობის ანალიზის ბიომრავალფეროვნების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს შესწავლილი ჰაბიტატების მიმოხილვა (EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის შესაბამისად), რომლებზეც შესაძლოა გავლენა მოახდინოს შემოთავაზებულმა პროექტმა. შედარებითი ანალიზის მიზნით, იქთიოლოგიური მონიტორინგისათვის, ასევე უნდა განისაზღვროს ზემოქმედების არეალს მიღმა არსებული საკონტროლო უბნები; ასევე მიზანშეწონილია გზშ-ის ანგარიშში მთლიანობაში შეფასებული იქნეს ჰესის ნეგატიური ზეგავლენის დონე და განისაზღვროს შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებები (დათევზიანება და სხვ.);
- სკოპინგის ანგარიშში მოიცავს ტექნიკურ ხარვეზებს, კერძოდ: წარმოდგენილი ნახაზი 2.1.4.1.1 არ იკითხება და საჭიროებს დაზუსტებას, ამასთან, ნახაზი 2.1.4.3.1 - შესასწორებელია; ასევე ნახაზი 2.1.4.6.2-ზე გაუგებარია 1 და 3 წერტილები; რატომ არ არის წერტილების (6) გადახრები, რომლებიც განსაზღვრავენ დამოკიდებულების საიმედოობას; საექვოა დამოკიდებულების წრფივი სახე;
- გზშ-ის ანგარიშში კლიმატური პირობების აღწერისას მითითებული უნდა იქნეს გამოყენებული ინფორმაციის წყაროები და მონაცემთა დაკვირვების პერიოდი, მიზანშეწონილია სამშენებლო-კლიმატური პარამეტრების გათვალისწინება მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისად (საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტი „სამშენებლო კლიმატოლოგია“);
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის თანახმად, კლიმატის ცვლილების არსებულ და სამომავლო სცენარებზე დაყრდნობით, შეფასებული უნდა იყოს კლიმატის ცვლილებით განპირობებული საქმიანობის მოწყვლადობა;
- სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, დაგეგმილია საწვავის რეზერვუარების და ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა. აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია და ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მეორე დანართის გათვალისწინებულ საქმიანობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ნაპირდამცავი ნაგებობის და ნავთობპროდუქტების საცავის შესახებ, ხოლო გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველში უნდა მიეთითოს კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი (ქვე)პუნქტები;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სანაყაროებისთვის შერჩეული ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური

ძეგლების/ობიექტების დაცვის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გზმ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული იყოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტ(ებ)ი, რათა სრულყოფილად იყოს შესწავლილი და შეფასებული საპროექტო ტერიტორიებზე (საპროექტო სამშენებლო დერეფანთან ერთად სანაყაროების და სამშენებლო ბანაკების ტერიტორიები, მისასვლელი გზები და ა.შ.) და მათ მიმდებარედ, ასევე პროექტის გავლენის ზონაში არსებულ კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი სავარაუდო ზემოქმედება;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სადაწნეო მილსადენის ბოლო მონაკვეთის (ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის გადაკვეთის შემდგომ) სამშენებლო დერეფნის საზღვრებში შეიძლება მოექცეს რამდენიმე კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ნაკვეთების ათვისების საჭიროების შემთხვევაში, გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები და ინფორმაცია ნაკვეთების მესაკუთრეებთან შეთანხმების შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკური-საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- გზმ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და სკოპინგის დასკვნაში გამოკვეთილი საკითხების გათვალისწინებით.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეის“ მდინარე ძინძესწყალზე 5,2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („ზარზმა ჰესის“) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე **სავალდებულოა გზმ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.